

26.01.2016

26 იანვარს, 16:00 საათზე, საქართველოს ხელოვნების სასახლეში ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნის კვირეულის ფარგლებში გამოფენა გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე დაესწრო



4.02.2016

ხელოვნების სასახლეს თეატრალური მხატვრის ივანე ასკურავას ვაჟმა, ზაალ ასკურავამ 1100-ზე მეტი თეატრალური ესკიზი გადასცა



12.02.2016

ხელოვნების სასახლის ფილმის „შედევრის გაცოცხლება“ პრეზენტაცია, ფილმი მიემდვნა სერგო ქობულაძის მიერ შექმნილი ოპერის ფარდის ისტორიას



28.02.2016

ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ხოსე მანუელ გარსია-მარგარიოს ვიზიტი ხელოვნების სასახლეში. მაღალი სტუმრის ვიზიტს მიემღვნა გამოფენა ესპანეთი ქართულ ხელოვნებაში



9 მარტს, საქართველოს ხელოვნების სასახლეს ცნობილმა ქართველმა მომღერალმა, საგუნდო დირიჟორმა, საზოგადო მოღვაწემ ანზორ ერქომაიშვილმა საკუთარი არქივის მეორე ნაწილი გადასცა, არქივი 200-ზე მეტ მუსიკალურ ფირფიტას მოიცავს, ეს არის მეოცე საუკუნის დასაწყისისა და შუა ხანების უნიკალური ქართული და უცხოური ჩანაწერები.



10 მარტს, ხელოვნების სასახლეში, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი, რომელშიც შესულია მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატების ფოტო მასალა, „სიყვარულის სასახლის“ ისტორია დაპროექტებიდან საბოლოო სახის მიღებამდე და მის აგებასთან დაკავშირებული საინტერესო და საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი ფაქტები, ხელოვნების სასახლისა და აქ განთავსებულ თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ერთგვარ ენციკლოპედიას წარმოადგენს.



14 მარტს, 17 საათზე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხელოვნების სასახლეში ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონის პრეზენტაცია გაიმართა. გამოცემის ავტორები არიან რუსუდან ქუთათელაძე და მზია ჯაფარიძე. **ქართული მუსიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი პირველი და ერთადერთი გამოცემაა, რომელიც სრულად უყრის თავს ინფორმაციას ქართული მუსიკის შესახებ.** გამოცემისთვის ინფორმაციის შეგროვებაზე შემოქმედებითი ჯგუფი წლების მანძილზე მუშაობდა.



18 მარტს საქართველოს ხელოვნების სასახლეში, გერმანიაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტ მაკა ბაუერისაგან ეროვნული მნიშვნელობის საჩუქარი მიიღო. ქ. ბაუერმა ხელოვნების სასახლეს ავსტრიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქართული უნიკალური ხელნაწერების ფოტო-ასლები გადასცა. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხელოვნების სასახლისა და ეროვნული ბიბლიოთეკის ერთობლივი პრეზენტაცია გაიმართა



22 მარტი. ხელოვნების სასახლემ საერთაშორისო ორგანიზაცია "ევროპა ნოსტრას" "განსაკუთრებული აღიარება" მოიპოვა. სასახლეს, როგორც ევროპის ტერიტორიაზე ერთ-ერთ საუკეთესო ისტორიულ ძეგლს, ევროკავშირის კულტურული მემკვიდრეობის სპეციალური ჯილდო გადაეცა. „ევროპა ნოსტრას“ დაჯილდოების ცერემონიალი ყოველწლიურად იმართება და იგი ევროკავშირის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დარგში უმაღლეს ჯილდოდ ითვლება.

„ევროპა ნოსტრა“ 50 ქვეყნიდან 250 არასამთავრობო ორგანიზაციას, 150 ასოციაციას და 1500-ზე მეტ ინდივიდუალურ წევრს აერთიანებს. ორგანიზაციის მიზანია ევროპის კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების უნიკალური ძეგლების შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია.

ევროპა ნოსტრას ყოველწლიური კონკურსი სხვადასხვა ნომინაციებში იმართება. საქართველოს ხელოვნების სასახლე „რესტავრაცია-კონსერვაციის“ ნომინაციაში იყო წარდგენილი. „ევროპა ნოსტრამ“ საქართველოს ხელოვნების სასახლეს ჟიურის სპეციალური ჯილდო მიანიჭა.



23 მარტს, 16 საათზე, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხელოვნების სასახლეში ქართველი მოქანდაკისა და მხატვრის გიორგი თექეთურმანიძის პერსონალური გამოფენა გაიმართა.



7 აპრილს, 19 საათზე, საქართველოს ხელოვნების სასახლეში ცნობილი ქართველი კოლექციონერის დავით ლაზაშვილის ანტიკვარული კოლექციის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ბაგრატიონების, მუხრანბატონების, ჭავჭავაძეებისა და ამილახვრების ნაქონი ნივთები. კოლექცია დაახლოებით ნახევარი საუკუნის განმავლობაში გროვდებოდა და იგი ევროპული სკოლის წარმომადგენლების, მათ შორის მურილიოს სკოლის ნახატებს მოიცავს.



23 აპრილს ხელოვნების სასახლეში ჩატარდა პროექტის შექსპირი და რუსთაველი ხვდებიან საქართველოში პრეზენტაცია



2016 წლის 10 მაისს, 20 საათზე ქალაქ თბილისის მერიის ორგანიზებითა და ანსამბლ „გეორგიკას“ მონაწილეობით, საქართველოს ხელოვნების სასახლემ მე-20 საუკუნის ლეგენდარული მოცეკვავის მარის ლიეპას უნიკალური ფოტოებისა და კოსტიუმების ექსპოზიციას უმასპინძლა



18 მაისს, 20 საათზე, ხელოვნების სასახლეში თანამედროვე ქართული ქრისტიანული ხელოვნების გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული ქრისტიანული ხელოვნების შედეგები, ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული ძვირფასი ძეგლები, კვერცხის ტემპერით დახატული სახეები, ტიხრული მინანქრით დამშვენებული ხატები



მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით 21 მაისს, 23 საათზე, ხელოვნების სასახლეში განსაკუთრებული ღონისძიება გაიმართა. სპეციალურად მომზადებული ინსტალაციის საშუალებით, მუზეუმში მოსულ დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა სასახლის მრავალსაუკუნოვან ფასადზე მუზეუმში დაცული უნიკალური ექსპონატების გარდა, რუსთაველისა და შექსპირის პროექტის ფარგლებში შერჩეული ციტატები და აფორიზმები ეხილა





26 მაისს ხელოვნების სასახლემ აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნაში, რუსთაველის პროსპექტზე გამოიფინა მუზეუმში დაცული საარქივო მასალის ფოტო ასლები



5 ივნისს, 17 საათზე, საქართველოს ხელოვნების სასახლაში ქართველი ფერმწერის, გრაფიკოსის, ქართული მონუმენტური ფერწერის ოსტატის, ანდერსენ-ნექსეს სახელობის საერთაშორისო დიპლომის მფლობელისა და საქართველოს დამსახურებული მხატვრის ლევან ცუცქერიძის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენა გაიხსნა



11 ივნისს, 18 საათზე, ხელოვნების სასახლის უკვდავთა ბაღში გაიმართა ფოტო-გამოფენა „ანისი _ ათას ერთი ტაძრის ქალაქი“. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო თურქეთში, ყარსის ტერიტორიაზე მდებარე უძველეს ისტორიულ ქალაქ ანისის უნიკალური ფოტო-მასალა, რომელიც 2015 წელს ტურისტულ კომპანია „გუდ თრეველის“ ორგანიზებულ ექსპედიციის დროს ფოტოგრაფმა გოგა ჩანადირმა მოაგროვა.



23 ივნისს საქართველოში აშშ-ს საელჩო მხარდაჭერით ნიუ-იორკ თაიმსის ყველაზე გაყიდვადი გრაფიკული ნოველის, კაბუკის ავტორის დევიდ მაკის პერსონალური გამოფენა გაიხსნა ხელოვნების სასახლეში.



27 ივნისს ანზორ ერქომაიშვილმა ხელოვნების სასახლეს ერქომაიშვილების საგვარეულო არქივი გადასცა, კოლექციაში წარმოდგენილია უნიკალური ხელნაწერები, ფოტოები და აუდიო ჩანაწერები



1 ივლისს, 19 საათზე, ხელოვნების სასახლეში ჰიპერრეალიზმის წარმომადგენლის, მხატვარ-დიზაინერის დავით დრონის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენლი იყო მხატვრის ბოლოდროინდელი ნამუშევრები: ავტომობილები, ხომალდები, პორტრეტები და ფანქარსა და აკვარელში შესრულებული 50-მდე სხვადასხვა თემატიკის ნახატი.



8 ივლისს, 17:30 -ზე, ხელოვნების სასახლეში პროექტის „მეფე ერეკლე ინგლისურ პრესაში“ პრეზენტაცია გაიმართა. ირლანდიის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს დიდი კოლექცია გადასცა, კერძოდ 1649-1798 წლებში ინგლისურ პრესაში დაბეჭდილი ცნობები საქართველოსა და მეფე ერეკლეს შესახებ. 500-ზე მეტი ბეჭდური ასლი ქართული ისტორიოგრაფიისთვის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებში აღწერილია მეფე ერეკლეს რამდენიმე გმირული ბრძოლა, განსაკუთრებით ხაზგასმულია მისი ავტორიტეტი იმდროინდელ მსოფლიოში და სხვ.

მეფე ერეკლე ინგლისურ პრესაში



10 ივლისს, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ორი თეატრალური მოღვაწის, მამა-შვილის ბადრი და პიერ კობახიძეების ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტოგამოფენა. გამოფენამ გააერთიანა კობახიძეების საოჯახო არქივი, რომელიც ოჯახის შთამომავალმა თეატრმცოდნე მაია კობახიძემ ხელოვნების სასახლეს გადასცა.



19 ივლისს, 18 საათზე, მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმში გამოფენა სახელწოდებით „მრავალეროვანი საქართველო“ გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხელოვნების სასახლის აფიშების ფონდში დაცული 40 ოპერის, თეატრის, ცეკვისა და კინოს აფიშა, რომლებიც ქართულ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ებრაულ და სხვა ქვეყნების კულტურას აერთიანებენ. გარდა ექსპოზიციისა, ღინისძიებაზე ორენოვანი კატალოგის "მრავალეროვანი საქართველო" პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ხელოვნების სასახლეში დაცული უნიკალური აფიშების კოლექციის გამოყენებით, ხელოვნების მხარდაჭერის ცენტრისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს დახმარებით გამოიცა.



8 სექტემბერს პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ქართული მუზეუმი - საქართველოს ხელოვნების სასახლე გუგლის კულტურული ინსტიტუტის წევრი გახდა. ამერიდან მსოფლიო ქართულ ეროვნულ საგანძურს ბოტიჩელის, კარავაჯოს, დავინჩისა და სხვა ხელოვნების დიდი ქურუმების გვერდით იხილავს. ხელოვნების სასახლე მსოფლიოს ყველაზე პოპულარული და მასშტაბური სახელოვნებო გაერთიანების - გუგლის კულტურული ინსტიტუტის სრულუფლებიანი პარტნიორია. დავით კაკაბაძე, გიგო გაბაშვილი, ელენე ახვლედიანი, პეტრე ოცხელი, ლადო გუდიაშვილი - ეს იმ ქართველი ფერმწერების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შემოქმედების ნახვა ამერიდან გუგლის ინსტიტუტის ონლაინ პლატფორმაზე შესაძლებელი, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან დამთვალიერებელს ქართულ შედეგებთან ერთად მათი შესრულების ტექნიკა და უმცირესი დეტალებიც კი შეეძლება ნახოს, ამ უნიკალურ შანსს მხოლოდ გუგლის ონლაინ დათვალიერების ტექნოლოგია იძლევა. საერთაშორისო ასპარეზზე მუზეუმმა ქართული მოდერნიზმის ფუძემდებლის პეტრე ოცხელის უნიკალური ნამუშევრებით შეაბიჯა და პირველი გამოფენა სწორედ ამ რეპრესირებულ მხატვარს მიეძღვნა. ვირტუალური გამოფენა ხელოვანის 40 ნამუშევარს აერთიანებს და მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დეტალურ ინფორმაციას გადმოგვცემს. საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი კავკასიის რეგიონში მეოთხე, ხოლო საქართველოში პირველი მუზეუმია, რომელიც ხელოვნების საერთაშორისო რუქაზე გაჩნდა. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ამ

წინგადადგმული ნაბიჯით ქართულმა ფერწერულმა ტილოებმა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებმა, კინოსა და თეატრის უნიკალურმა კოსტიუმებმა მსოფლიო დონის აღიარება მოიპოვა.



პირველად საქართველოს ისტორიაში, პუჯიუმი
საქართველოს ხელოვნების სასახლე

 Google
**CULTURAL
INSTITUTE**



 **Google-ის კულტურული ინსტიტუტის**
წევრი გახდა

სექტემბერი 2016



ნახეთ ქართული შედევრები
უმჯირეს დეტალებამდე

Google
**CULTURAL
INSTITUTE**

10 სექტემბერს, ხელოვნების სასახლეში გამოფენა „შექსპირი ქართულ სცენაზე“ გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო შექსპირის პიესების მიხედვით დადგმული ისეთი მნიშვნელოვანი თეატრის მხატვრების მიერ შესრულებული სპექტაკლების ესკიზები და ფერწერული ტილოები როგორებიცაა: პეტრე ოცხელი, დავით კაკაბაძე, ფარნაოზ ლაპიაშვილი, ირინა შტენბერგი, გოგი გუნია, სოლიკო ვირსალაძე, ნიკა ყაზბეგი და სხვები



28 ოქტომბერს, 19 საათზე, ხელოვნების სასახლეში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ლეგენდარული თეატრალური მხატვრის ივანე ასკურავას პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ივანე ასკურავას მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი თეატრის, ოპერისა და ბალეტისათვის შექმნილი ესკიზები, რომლებიც მხატვრის ოჯახსა და ხელოვნების სასახლის კოლექციებშია დაცული. გამოფენის გახსნასთან ერთად, ღონისძიებაზე გაიმართება ივანე ასკურავასადმი მიძღვნილი ორენოვანი კატალოგის პრეზენტაცია. კრებული მხატვრის საუკეთესო ნამუშევრებს აერთიანებს და იგი ხელოვნების მხარდაჭერის ცენტრის მიერ თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრისა და ხელოვნების სასახლის მხარდაჭერით გამოიცა.



9 ნოემბერს, 19 საათზე, ხელოვნების სასახლეში ვახტანგ ნინუას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ჯორჯ ბალანჩინისა და დავით არსენიშვილის სახელობის საგამოფენო დარბაზებში ხელოვანის მოღვაწეობის ამსახველ ფოტო-მასალასთან ერთად მის მიერ შესრულებული როლების თეატრალური და კინო აფიშები გამოიფინა.



22 ნოემბერს, 19 საათზე, ხელოვნების სასახლეში ლეგენდარული თეატრალური მხატვრის ივანე ასკურავას პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო კარლო კუკულაძის მიერ სხვადასხვა პერიოდში შექმნილი თეატრის, ოპერისა და ბალეტისათვის შექმნილი 80-მდე ესკიზი, რომლებიც მხატვრის ოჯახსა და ხელოვნების სასახლის კოლექციებშია დაცული. გამოფენის გახსნასთან ერთად, ღინისძიებაზე გაიმართა **კარლო კუკულაძისადმი მიძღვნილი ორენოვანი კატალოგის პრეზენტაცია**. მხატვრის საუკეთესო ნამუშევრების კრებული თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მხარდაჭერით ხელოვნების სასახლის მიერ გამოიცა.



5 დეკემბერს, 15 საათზე, ხელოვნების სასახლემ ქართული ეროვნული სამოსის გამოფენას უმასპინძლა. ოქრო, ვერცხლი, მარგალიტები, იაგუნდი, ლალი, ძვირფასი და კეთილშობილი ქვებით დამშვენებული ნატიფი ხელოვნების ნიმუშები. საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ახალ საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი ხუთი განსაკუთრებული ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობის მქონე ეროვნული კოსტუმი ეხილა. ექსპონატებს ხელოვნების სასახლის სარესტავრაციო ლაბორატორიაში, პროფესიონალი რესტავრატორების მიერ, ექვსთვიანი აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდათ. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფინანსური მხარდაჭერა დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდმა უზრუნველყო. ძვირფასი საგანძურის ექსპონირებისათვის საგანგებოდ მომზადდა საგამოფენო დარბაზი, სადაც კულტურის სამინისტროს დაფინანსებითა და მხარდაჭერით დამონტაჟდა თანამედროვე განათება, მომზადდა სპეციალური ვიტრინები და კლიმატ კონტროლის აპარატები. კოსტიუმების გამოფენასთან ერთად, დამთვალიერებელს საშუალება ჰქონდა მე-19 საუკუნის უნიკალური გამოყენებითი ხელოვნების ნიმუში - „თეთრი ბუხარი“ ეხილა, რომელიც კულტურის მინისტრის ინიციატივით სასახლის მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში გადმოიტანეს.



